# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 3

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 30 აპრილი
$11^{00}$ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**ესწრებოდნენ:**

| | | |
|---|---|---|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლაშა სირაბიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| თემურ კახიძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

| | | |
|---|---|---|
| ნატალია ძიძიგური | - | საკრებულოს ფრაქიის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - | საკრებულოს ფრაქციის `ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| რაულ თავართქილაძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე; |
| არჩილ მამულაძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| მირდატ ქამადაძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე; |
| ნოდარ დუმბაძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ელგუჯა ანდრიაძე | - | საკრებულოს  წევრი; |
| თამაზ დევაძე | - | საკრებულოს წევრი; |
| ირაკლი თოფურიძე | - | საკრებულოს წევრი; |
| მუხამედ ართმელაძე | - | საკრებულოს წევრი; |

**არ ესწრებოდნენ:**

| | | |
|---|---|---|
| დიმიტრი ჭეიშვილი | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ანზორ დევაძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე; |
| გელა დეკანაძე | - | საკრებულოს წევრი. |
| ომარ მახარაძე | - | საკრებულოს წევრი; |
| ლევან ანთაძე | - | საკრებულოს წევრი. |

**სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლაშა კომახიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი- ჯაბა ტუღუში;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სოფიკო ხალვაში;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ლელა სურმანიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -- დავით კოპინაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

-საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

-იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

-საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

-საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

-მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე.

-მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებები უსურვა. მან ასევე კოლეგებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტის დაცვისკენ და ჟურნალისტებთან ინტერვიუების ჩაწერა მოხდეს სხდომის დასრულების შემდგომ. მან ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 13 სამართლებრივი აქტის პროექტი. მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი იქნებოდა ანტიკრიზისული გეგმის საფუძველზე საგანგებო ბიუჯეტი, თუმცა სამწუხროდ, არ არის დღის წესრიგში. ჩანს რომ ბათუმის **მუნიციპალიტეტის** საკრებულოს და მერიას არ ჰქონია მსჯელობა, რომ ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე კონკრეტულ სუბიექტებთან ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა, გულისხმობს პირგასა-მტეხლოს გაუქმებას ან იჯარის შესყიდვის გადავადებას, რომელიც სავალდებულოა და არავითარ შემთხვევაში არ ემსახურება ბიზნესის წახალისებას, თუმცა სამაგიეროდ, საკრებულო ასეთ ვითარებაში მსჯელობს

საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცებაზე, რომელიც ყოფილა ბათუმის მთავარი პრობლემა. ასევე რეგლამენტში ისეთი საკითხებია შეტანილი, რომ სიღრმისეულად განხილვას საჭიროებს, რადგან ის საკითხები, რომლებიც წარმოდგენილია ქართული სასამართლოების მიერ სხვაგვარად არის რეგულირებული. გამომდინარე აქედან მიაჩნია, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 და მე-13 საკითხის ამოღება. ასევე წარმოდგენილია მის მიერ, საკრებულოს წევრის მიერ ანტიკრიზისული გეგმა, რომლის საფუძველზეც საკრებულომ უნდა იმსჯელოს, რომელიც შემდგომ მერიას უნა წარედგინოს მიმართვის სახით და ამის საფუძველზე ამ წინადადებების გათვალისწინებით უნდა მომზადდეს საგანგებო ბიუჯეტი და უნდა შემოვიდეს საკითხი, რაც გულისხმობს იმას, რომ ქალაქში ტურისტულ ბიზნესებს, სხვადასხვა სახის მეწარმეებს, უნდა გაეწიოთ მაქსიმალური შეღავათები. ადგილობრივ გადასახადებზე უნდა იყოს მსჯელობა, რომ მოხდეს წახალისება ბიზნესისა და გაეწიოთ შეღავათები. მან მოითხოვა აღნიშნული საკითხის დამატება დღის წესრიგში, რომელიც ოფიციალურად დღეს საკრებულოს აპარატში რეგისტრირებულია.

სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ დღეს შემოსული საკითხის დღის წესრიგში შეტანა არ მოხერხდება, რადგან დღეს რიგგარეშე სხდომაა, სადაც განიხილება მერიის მიერ წარმოდგენილი საკითხები.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ რეგლამენტის 49-ე მუხლში წერია: დღის წესრიგის პროექტს საკრებულო ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს გადაწყვეტილებით, ასევე როგორც გამონაკლისი განხილულ იქნეს გაუთვალისწინებელი საკითხი. დღევანდელ ვითარებაში ანტიკრიზისული გეგმა უფრო მნიშვნელოვანია თუ რეგლმენტში ცვლილებების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წამოყენებულ წინადადებას, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 და მე-13 საკითხის ამოღებას აყენებს კენჭისყრაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგიდან მე-12 და მე-13 საკითხის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 2(მ. ქმადაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 16

არ მიიღო მონაწილეობა - 2(ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

სხდომის თავმჯდომარე თვლის, რომ რიგგარეშე სხდომა, რომელიც მოწვეულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით განსაზღვრული დღის წესრიგით, რომლის განხილვის შემდეგ ცხადდება დახურულად, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, წლების განმავლობაში პროფესიით პედაგოგი, ასწავლიდა ბავშვებს, რომ სხვის საუბარს მოუსმინოს ბოლომდე და შემდეგ დაილაპარაკოს თვითონ, აქედან გამომდინარე აზრის გამოთქმა ერთმანეთს დააცალეთ. ის თვლის, რომ მეორე

წინადადება საკითხის დამატების თაობაზე, რომელიც დღეს დილით დარეგისტრირდა საკრებულოში, არ უნდა დადგეს კენჭისყრაზე.

საკრებულოს წევრი მირდატ ქამადაძე ითხოვდა საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას, რადგან საკრებულოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად არ უნდა წყვეტდეს საკითხს.

საკრებულოს წევრმა თემურ კახიძემ აღნიშნა, რომ დღეს შემოსულ საკითხს არ იცნობს, რის გამოც ვერ განიხილავენ სხდომაზე. შემოსული მიმართვა დაეწერება შესაბამის კომისიას, რომელზედაც იმსჯელებენ და შემდგომ მორიგ სხდომაზე განიხილება. პროცედურების გავლის შემდგომ განიხილება ზემოაღნიშნული საკითხი.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მსოფლიოში დაძაბული ვითარებაა და სხდომაზე ვნებათაღელვა არ უნდა იყოს. დღეს დღის წესრიგში შეტანილი 13 საკითხი კომისიის სხდომებზე განხილულია და წარმოდგენილია დასკვნები, ხოლო დღეს დილით შემოსული საკითხის ირგვლივ არ ყოფილა მსჯელობა და კომისიის სხდომაზე განხილვა.

აღნიშნული საკითხის კომისიის სხდომებზე განხილულია და წარმოდგენილია დასკვნები, ხოლო დღეს დილით შემოსული საკითხის ირგვლივ არ ყოფილა მსჯელობა და კომისიის სხდომაზე განხილვა.

საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში მუშაობს საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ყოველდღიურად ცვლის გეგმას, ღებულობს გადაწყვეტილებებს, რომელიც იმ წუთას არის მისაღები სამოქმედო გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს დეპუტატების საქციელს სირცხვილი უწოდა.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე საკრებულოს წევრების საქციელი არ არის სწორი და მოსაწონი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში აღნიშნულ საკითხზე კომისიის სხდომა დაინიშნება, რაზედაც მირდატ ქამადაძემ რეგლამენტის უხეში დარღვევისთვის დაადანაშაულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:**

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

**საკითხი 1**. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

**საკითხი 2**. „საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 21 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქალაქ №80-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების მქონე სუბიექტების საფასურისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 10.** „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჟარაძე)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 13.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 2 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

-საკრებულოს წევრი - ნოდარ დუმბაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სოციალურ ქსელში წაიკითხა შპს ,,ბათუმის წყალის" განცხადება გადასახადის სამი თვის განმავლობაში ფიზიკური პირებისთვის განთავისუფლების თაობაზე, კარგია გადაწყვეტილება, თუმცა მარტივი შენიშვნა გამოთქვა, რომ სამსახური ღებულობს ერთპიროვნულად გადაწყვეტილებას და დამფუძნებელს და პარტნიორს არ უთანხმებს-მიუღებელია. ასევე საკრებულოს წევრებს, რომლებსაც აქვთ შემოსავალი და ის ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ შემოსავალი და არიან სოციალურად დაუცველი, თანაბარი არ უნდა იყვნენ.

-საკრებულოს წევრი - ზურაბ ნაკაიძემ მადლობა მოუხადა საქართველოს ყველა ექიმს, საპატრულოს, ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებს დ ყველა იმ მოქალაქეს, ვინც ღირსეულად, პირნათლად მიუდგა დღევანდელ კრიზისულ სიტუაციას და ასრულებენ ყველა რეკომენდაციას ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულს. დღეს თუ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონლური მოძრაობა" ვერ ხედავს მუნიციპალიტეტის მუშაობას, ცუდია.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე კოლეგებს მოუწოდებს საკრებულოს რეგლამენტის დაცვისკენ, თუმცა თავად არღვევს რეგლამენტს. ეს არის სამწუხარო და საკრებულოს ისტორიაში დარჩება. მას ესმის პოლიტიკური უხერხულობა, რადგან ამ ხნის განმავლობაში არავის არ უფიქრია საკითხის დღის წესრიგში შეტანა. ამიტომაც მათ წარმოადგინეს საკითხი ანტიკრიზისული გეგმა. ხალხის უმუშევრად დატოვება, ბიზნესის ჩავარდნა არ აინტერესებთ, რადგან ბიუროკრატიას ერთი თეთრი არ აკლდება და თითოეული ჩვენგანი ამ კრიზის ვერ გრძნობს. გამომდინარე აქედან დაარწმუნა ერთი კაცის სიტყვებმა: ,,თქვენ საქართველოს მართვა ლობიობა ჰგონიათ", რომლებიც ამ ლობიობაში მონაწილეობას არ მიიღებენ და საკრებულოს სხდომა დატოვა ფრაქცია ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ".

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ეს არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბედნიერი სახე და გაბრწყინებული თვალები, მაგრამ მათ არ ეღირსებათ ეს ბედნიერება. მან მადლობა გადაუხადა სახელმწიფოს და ექიმებს წარმატებული ბრძოლისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტში ცვლილება გამოიწვია დღევანდელმა მდგომარეობამ, ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციიდან გამომდინარე, წარმოდგენილ ცვლილების პროექტში ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით საკრებულოს, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება, ობიექტური გარემოებების არსებობისას, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, აღნიშნული ცვლილების შეტანა მიზანშეწონილია ვინაიდან ეპიდემიის დროს ან სხვა

შემთხვევაში როდესაც საკრებულოს უფლებამოსილების განხორციელება, საკრებულოს სხდომის ჩვეულ ფორმატში ჩატარებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შექმნა აღნიშნულის პრევენციისათვის საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე სხდომა შესაძლებელი იქნება ჩატარდეს დისტანციურად სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, გამომდინარე აქედან თუ არ იქნება აღნიშნული ჩანაწერი რეგლამენტში, რეკომენდირებული არ იქნება საკრებულოს სხდომის მათ შორის რიგგარეშე სხდომის ჩატარება, რაც შეაფერხებს გადაუდებელი საჭიროებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტას, ასევე გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მერისათვის თანხმობის მიცემას მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მათი მუშაობით მოითხოვეს კოვიდ-19-ის ფონდში სამი თვის განმავლობაში ხელფასის 30%-ის გადარიცხვა.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს კოვიდ-19-ის ფონდში სამი თვის განმავლობაში მონაწილეობისათვის. ასევე საკრებულომ მიიღო ბიუჯეტის დაახლოებით 60 ათასი ლარის გადარიცხვის გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მსოფლიო და მათ შორის ჩვენი ქვეყანა დაზარალდა არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა ქვეყნის მასშტაბით ანტიკრიზისული გეგმა და შესაბამისი საბჭო, რომელთა ინსტრუქციებით ხდება ქვეყნის მართვა. ის ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ გადაწყვეტილებას ცალკე ვერ მიიღებს. ფრაქციამ ინდივიდულურად მიიღო სხვადასხვა აქციებში მონაწილება ოჯახების დასახმარებლად.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს მედიკოსებს, საავადმყოფოს ნებისმიერ თანამშრომლებს, მადლობა ხელისუფლებას, რომლებმაც გადადგა ის ნაბიჯი, რომ შეჩერებულიყო პანდემიისაგან ის დიდი ზიანი. ასევე მან აღნიშნა, რომ ერთკვირიანი სატრანსპორტო ავტომანქანების შეზღუდვების პერიოდში თამარის დასახლებიდან ბათუმში ფეხით გავლა მოუწია, მაგრამ ზოგიერთებზე გაცემული საშვი საკითხავია, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში მოძ-რაობდნენ. რაც შეეხება დახმარებას, სამი შვილიშვილის, გენდერული საბჭოს თანადგომით ოჯახებს გაუწია.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ აღნიშნა, რომ ანტიკრიზისული გეგმა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია ქართული ოცნების გუნდთან ერთად, არ შეიძლება ქედი არ მოუხარო იმ გატარებული ბრწყინვალე ღონისძიებებისთვის, რაც ამ პერიოდში გაკეთდა და ქედი არ მოუხაროთ ექიმებს, რომლებიც დღე და ღამ ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის მუშაობდნენ. საზღვარგარეთის პრესებში გამოქვეყნდა, რომ ყველაზე მსხვილი დონორი პანდემიის წინააღმდეგ ქველმოქმედთა სიაში არის ბიძინა ივანიშვილი. დღევანდელი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს აქვს შემოტანილი საკითხები, რომლებიც აღნიშნულ თემებს ეხება, მერი ასევე მუშაობს ბათუმის ბიუჯეტის ცვლილებებზე, რომელიც უახლოეს სხდომაზე შემოვა განსახილველად. ასევე მან გააცნო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული პეტიცია ,,აიკრძალოს აზარტული თამაშების რეკლამების განთავსება მუნიციპალურ ავტოტრან-სპორტზე", რომელიც განსახილველად და მოსაზრების წარმოსადგენად გადაგზავნილ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საიდანაც მიღებულია პასუხი, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციების მიხედვით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით 2019 წელს ჩარიცხულია 31 967 120,81 ლარი და 2020 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით შეადგენს 125 977,26 ლარი. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აზარტული თამაშების სარეკლამო საშუალებების გავრცელების რაიმე სახის აკრძალვას ან/და შეზღუდვას და მსგავსი რეკლამები გვხვდება სხვადასხვა სარეკლამო სივრცეში, აზარტული თამაშების სარეკლამო საშუალებების მხოლოდ მუნიციპალურ სატრანსპორტო საშუალებებზე განთავსების შეზღუდვა არ მოიტანს მნიშვნელოვან ეფექტს. გამომდინარე აქედან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია აიკრძალოს სათამაშო ბიზნესის სარეკლამო საშუალების მუნიციპალურ ავტობუსებზე განთავსება.

**საკრებულომ ზემოთ აღნიშნული საკითხი პეტიციის შესახებ ერთხმად მიიღო ცნობად პეტიციის არ დაკმაყოფილების თაობაზე.**

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლაშა კომახიძე)

მომხსენებელი ლაშა კომახიძე მიესალმა და აღნიშნა, რომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ მედიკოსებს, ინფექციონისტებს მადლობა გადაუხადა თავიანთი წვლილის შეტანისთვის. ამით გარდა უამრავი ადამიანები სასტუმროების პერსონალით სადაც საკარანტინე ზონები არის განთავსებული, მუნიციპლიტეტის უამრავი თანამშრომელი, დაუღალავად მუშაობენ, რომელსაც ხედავს საზოგადოება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარუდგინა. ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობაზე დეტალურად ისაუბრა. განიხილა შესრულებული პროექტები და პროგრამები, ასევე ის შედეგები და წარმატებები, რომლებიც გასულ წელს იქნა მიღწეული. 2019 წლის ბიუჯეტი იყო ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ამბიციური და ძლიერი როგორც რაოდენობრივად, ასევე მისი შესრულების თვალსაზრისით. საბიუჯეტო წელი დასრულდა 182 მილიონ ლარზე მეტით, რომლის შესრულება 95%-ს შეადგენს. გადაჭარბებით შესრულდა შემოსავლითი ნაწილი, რომელიც დაგეგმილი იყო 173 მლნ-ზე და 177 მლნ ლარით შესრულდა.ამით მიეცათ საშუალება განეხორციელებინათ ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი. ბიუჯეტის 62% დაიხარჯა სწორედ ინფრასტრუქტურულ და კაპიტალურ პროექტებზე. ბიუჯეტის 10% განათლების, კულტურის, სპორტის, ხოლო 10% ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით დაიხარჯა. ფიქრობს, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წელი მუნიციპალიტეტისათვის. ძალიან ბევრ გეგმას 2020 წლისთვის უკვე ჩაეყარა საფუძველი და დაიწყეს ბევრი გარდამავალი პროექტის განხორციელება. დღეს კი ის დროა, როცა გარკვეული კორექტირება შეიტანა ვირუსმა და პანდემიამ არა მარტო ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში,

არამედ მთელ მსოფლიოში. თუმცა, გაკეთდება ყველაფერი იმისათვის, რომ დაუბრუნდენ განვითარების ჩვეულ რიტმს. მან წარმოადგინა ბათუმის მერის 2019 წლის ვიდეოანგარიში.

ა ზ რ ი

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** საკრებულოს წევრმა რაულ თვართქილაძემ დასვა შეკითხვა ელექტრონული ავტობუსების შემოყვანასთან დაკავშირებით, რაზედაც მერმა აღნიშნა, რომ შემოყვანა დაგეგმილი იყო აგვისტოში, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ვადა გადაიწიოს პანდემიის გამო. კოვიდმა მოულოდნელი ცვლილებები შემოიტანა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი 200 ფურცელს შეადგენს გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ სატრანსპორტო კომპანიების მისამართით კრიტიკული განცხადება გააკეთა, რომ ცუდად იქცევიან და აბუჩად იგდებენ ხალხს, რაზედაც სხდომის თავმჯდომარე სულიკო თებიძე დაჰპირდა მას, რომ დაიბარებს სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელს და ამ საკითხზე იმსჯელებენ.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 2. „საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული რიგი უფლებები. დეკრეტის საფუძველზე, გამოცემულ იქნა

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ", რომლის თანახმადაც შეიზღუდა რიგი საქმიანობები.

არსებული შეზღუდვების მიხედვით მუნიციპალიტეტში მოქმედმა რიგმა ობიექტმა (დაწესებულებები, ორგანიზაციები იურიდიულ პირები და ინდივიდუალურ მეწარმეები) ფუნქციონირება შეწყვიტეს. შესაბამისად დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის მიხედვით ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლი არ დაერიცხებათ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ფუნქციონირებენ (შეწყვეტილი აქვთ საქმიანობა ან სხვ.) შესაბამისად არ წარმოქმნიან ნარჩენებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ეს პირები გათავისუფლდნენ მოსაკრებლის გადახდისაგან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში არსებული შეზღუდვის დროით.

„კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის №220 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის დახმარების მიზნით, ეთხოვა მუნიციპალიტეტებს შესაბამის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მიიღონ შესაბამისი ზომები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირება.

შესაბამიასად წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სრულად გათავისუფლებას 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 14
სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ი. პატარიძე, ნ. ზოიძე, თ. კახიძე, რ. თავართქილაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 21 აპრილის №686/02 (№6886/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმში, დასახლება კახაბრის ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაგეგმარდა კახაბრის საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მოიცავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულ 3 ერთეულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსაც, რომლის რეგისტრაცია განხორციელდა სამინისტროს 2019 წლის №01-01-10/6034 კორესპოდენციის საფუძველზე. პროექტის განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება კახაბერში მდებარე 3 ერთეულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.06.219; ს/კ 05.32.06.222; ს/კ 05.32.06.224) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ საპროექტო გზების ოპტიმალურად გაყოფა-გაერთიანების მიზნით. შესაბამისად, ითხოვს შემდგომი განკარგვის მიზნით ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

**ა ზ რ ი**
**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | | |
|---|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | - | 14 |
| სხდომას არ ესწრებოდა: | - | 4 (ი. პატარიძე, ნ. ზოიძე, თ. კახიძე, რ. თავართქილაძე) |
| კენჭისყრის შედეგები: | | მომხრე - 14 |
| | | წინააღმდეგი - 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 21 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 21 აპრილის №683/02 (№6882/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელდა ქალაქ ბათუმის სამრეწველო ზონის ტერიტორიის დაგეგმარება, სხვადასხვა საწარმოების ამოქმედების, სამრეწველო ზონის განვითარების ხელშეწყობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ეთხოვა მოსაზრების წარმოდგენა ე.წ. სამრეწველო ზონის საპროექტო არეალში უკვე არსებული ანძების მდინარის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მონაცვლეობასთან დაკავშირებით. ასევე ეთხოვა ინფორმაციის მოწოდება სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ მახოს ხიდიდან ე.წ. სამრეწველო ზონამდე არსებულ მონაკვეთში დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ, ტერიტორიების UTM კოორდინატების მითითებით.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ 2019 წლის მაისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარედგინა ქალაქ ბათუმში, ახალი სამრეწველო ზონის პროექტის არეალში ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ანძების განთავსებისათვის შერჩეული 21 მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 23 დეკემბრის #01-01-10/6317 (#32818/25) მომართვის საფუძველზე ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ანძების განთავსებისათვის შერჩეული 21 მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ქალქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში:

1) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.29.01.568;
2) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.29.01.570;
3) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.29.01.569;
4) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.29.01.567;
5) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.29.01.566;
6) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.627;
7) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.620;
8) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.619;
9) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.628;
10) 64 კვ.მ.-საკადასტრო კოდი #22.28.04.615;
11) 64 კვ.მ.-საკადასტრო კოდი №22.28.04.618;
12) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.621;
13) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი ##22.28.04.625;
14) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.616;
15) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.626;
16) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.622;
17) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.624;
18) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.614;
19) 64 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.617;
20) 196კვ.მ. - საკადასტრო კოდი #22.28.04.623;
21) 77 კვ.მ. - საკადასტრო კოდი #05.32.06.220;

ახალი სამრეწველო ზონის განვითარების ხელშეწყობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 21 ერთეული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მათი სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ანძების მშენებლობის მიზნით და ითხოვს ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 14
სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ი. პატარიძე, ნ. ზოიძე, თ. კახიძე, რ. თავართქილაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქალაქ №80-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყი-დლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკა-რგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 21 აპრილის #685/02 (#6885/25) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 16 იანვრის №03/26 და სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს 2020 წლის 9 იანვრის №01-10/04 კორესპოდენციით დაისვა საკითხი ქალაქ ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქალაქ №80-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 05.30.10.113) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ, რომლის ნაწილი სარგებლობის უფლებით გადაცემულია სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-სათვის, სადაც განთავსებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით შეძენილი დანადგარ-მოწყობილობები და აპარატურა. სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ არის აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულება და ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ხოლო ქონება წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, რაც ქმნიდა გარკვეულ დაბრკოლებებს და ბარიერებს ქონების განკარგვის, ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის 27 იანვრის #01-01-10/329 კორესპოდენციის საფუძველზე დაისვა საკითხი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ხოლო სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს 2020 წლის 26 თებერვლის №1/1-1259 მრძანებით განხორციელდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქალაქ №80-ში მდებარე 13184,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 1409,50 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 05.30.10.113) შემდგომი მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 16
სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ი. პატარიძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 6. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების**

**მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, შემდეგი წესით:

ა) იმ პირებს, რომლებსაც მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების (გარდა საპრივატიზებო/სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისა) შესრულების ვადა წარმოეშვათ/წარმოეშობათ 2020 წლის 1 მარტიდან და მიმართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას პრივატიზებულ, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის ან/და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების მოთხოვნით, აღნიშნული განკარგულებისა და მერის შესაბამისი აქტის საფუძველზე, მიეცემათ დამატებით 4 (ოთხი) თვის ვადა ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის და სრულად გათავისუფლდებიან აღნიშნულ პერიოდში დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან (დამატებითი ვადის ათვლა დაიწყება 2020 წლის 1 ივლისიდან იმ პირების მიმართ, ვისაც ეს ვალდებულება წარმოეშობა 2020 წლის 1 ივლისამდე, ხოლო იმ პირებს, ვისი ვალდებულების შესრულების ვადა დადგება 2020 წლის 1 ივლისის შემდეგ, ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის დღიდან);

ბ) იმ პირებს, რომლებსაც 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 30 სექტემბერამდე წარმოეშობათ საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულება და მიმართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საფასურის გადახდისათვის დამატებითი ვადის მიცემის მოთხოვნით, აღნიშნული განკარგულებისა და მერის შესაბამისი აქტის საფუძველზე მიეცემათ დამატებითი ვადა საპრივატიზებო/სარგებლობის საფასურის გადასახდელად არაუგვიანეს 2020 წლის 20 დეკემბრამდე და გათავისუფლდებიან აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსგან.

**ა ზ რ ი**
**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17
სხდომას არ ესწრებოდა: - 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების გამო, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანი გახდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო შექმნილი ვითარების ნორმალიზაცია, რათა სახელმწიფომ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება - უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“. აღნიშნული დადგენილებით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოში შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა ადამიანის არსებობისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პროდუქციის რეალიზაც-

იასთან და მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობისა. მართალია, საქართველოს მთავრობის ნებართვით დასაშვები გახდა ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობის წარმოება, მაგრამ დასაშვები სახეობები არ მოიცავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობებს.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის. აღნიშნული ხელშეკრულებების დადების დროს შეზღუდული და/ან შეჩერებული არ იყო საქართველოს კონსტიტუციის არცერთი მუხლის მოქმედება. დღეისათვის კი აშკარად შეიცვალა ზოგიერთი ის გარემოება, რაც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, კერძოდ, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან და საქართველოში შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა ადამიანის არსებობისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პროდუქციის რეალიზაციასთან და მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეცვლილი გარემოებების საბოლოო შეფასება არის ის, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს შეჩერებული აქვთ ეკონომიკური საქმიანობა და ეს არ არის გამოწვეული მათი ბრალეული ქმედებით. ეკონომიკური საქმიანობების შეჩერება კი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ზეგავლენის შეფასებისათვის მნიშვნელოვან შეცვლილ გარემოებას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო შექმნილი მდგომარეობა სრულად ჯდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შეფასებებში, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ხელშეკრულებების დადების შემდეგ აშკარად შეცვლილად ითვლება ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა. ამასთან, ეს გარემოებები ხელშეკრულების დადების დროს ცნობილი რომ ყოფილიყო, მხარეები

ამ ხელშეკრულებას არ დადებდა არსებული შინაარსით, არამედ დადებდა შეცვლილი შინაარსით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის საფასურს (ქირა, საზღაური და სხვა), კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში მხარეები აღნიშნულ საფასურს არ გაითვალისწინებდნენ ან ამავე ვადის ნაწილში არ დადებდნენ ხელშეკრულებას. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მხარეებს შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მიხედვით და უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება. ხელშეკრულებების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება კი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის შემცირება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში გადასახდელი თანხის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის და „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილია:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით, განხორციელდეს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირა, საზღაური და სხვა) შემცირება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში (ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების ვადით) გადასახდელი თანხის ოდენობით, შემდეგი წესით: წლიურ სარგებლობის საფასურს გამოაკლდება ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების პერიოდისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა, თვეების გაანგარიშებით (ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების დაწყების და დასრულების თვეები იანგარიშება სრულად, მიუხედავად ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების დაწყების და დასრულების თარიღისა).

2. განემარტოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს, რომ ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებისათვის საჭიროა მათი, როგორც დაინტერესებული პირების, მოთხოვნა (შესაბამისი შინაარსის განცხადება), რომელიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნას ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან პირველი ვადამოსული გადასახდელი სარგებლობის საფასურის გადახდის თარიღამდე. ასეთი განცხადების

არ არსებობა განიხილება ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებისადმი მისადაგება-ზე უარის თქმად და სახელშეკრულებო ურთიერთობები გაგრძელდება არსებული პირობებით.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

| | | |
|---|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | - | 17 |
| სხდომას არ ესწრებოდა: | - | 1 (ი. პატარიძე) |

| | |
|---|---|
| კენჭისყრის შედეგები: | მომხრე - 17 |
| | წინააღმდეგი - 0 |

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

**ა ზ რ ი**
**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17
სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების მქონე სუბიექტების საფასურისა და დაკისრებული/და-საკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუ-ნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ქუჩებსა და საზოგადოებრივი სივრცეებში რამოდენიმე იურიდიული/ფიზიკური პირები ეწევა გარე (გამოტანით) ვაჭრობას, რომელზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მიერ გაცემულია არაერთი გარე ვაჭრობის ნებართვა.

ზემოხსენებული საქმიანობა რეგულირდება 2011 წლის 10 თებერვლის ქალაქ ბათუმის საკრებულოს №8 დადგენილების „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ მიხედვით, ხოლო ტარიფები განისაზღვრება 2012 წლის 28 ივნისის ბათუმის საკრებულოს №37 „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ და 2020 წლის 25 თებერვლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილებებით.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე თანამედროვე მსოფილო და მათ შორის ჩვენი ქვეყანა უმძიმესი გამოწვევის სინაშე დგას, ამასთან საზოგადოება დიდ შეშფოთებას გამოთქვამს „კორონავირუსის“ გავრცელების გამო, როგორც ცნობილია, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით საქართველოში გამოცხადებული იქნა საგანგებო მდგომარეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ისე როგორც სხვა ქალაქებში ბათუმშიც დროებით დაიხურა ბევრი საცალო სავაჭრო ქსელისა და მომსახურების ობიექტი. რომლებიც ეწეოდნენ გამოტანით ვაჭრობასა და სხვადასხვა ტიპის სავაჭრო მომსახურეობას, შესაბამისად შეჩერებულია მათი შემოსავლის წყაროც.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

სხდომას არ ესწრებოდა: - 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 10. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუ-ქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჟარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების გამო, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანი გახდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო შექმნილი ვითარების ნორმალიზაცია, რათა სახელმწიფომ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება - უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცდა

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“. აღნიშნული დადგენილებით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც კონკურსში გამარჯვებულ პირებს მინიჭებული აქვთ მუნიციპალიტე-ტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის უფლება (ნებართვა). აღნიშნული ხელშეკრულებების დადების დროს შეზღუდული და/ან შეჩერებული არ იყო საქართველოს კონსტიტუციის არცერთი მუხლის მოქმედება. დღეისათვის კი აშკარად შეიცვალა ზოგიერთი ის გარემოება, რაც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, კერძოდ, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან და საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეცვლილი გარემოებების საბოლოო შეფასება არის ის, რომ მგზავრთა გადაყვანის ნებართვის მფლობელებს შეჩერებული აქვთ საქმიანობა და ეს არ არის გამოწვეული მათი ბრალეული ქმედებით. საქმიანობების შეჩერება კი ამ პირებთან გაფორმებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ზეგავლენის შეფასებისათვის მნიშვნელოვან შეცვლილ გარემოებას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო შექმნილი მდგომარეობა სრულად ჯდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შეფასებებში, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულებების დადების შემდეგ აშკარად შეცვლილად ითვლება ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა. ამასთან, ეს გარემოებები ხელშეკრულების დადების დროს ცნობილი რომ ყოფილიყო, მხარეები

ამ ხელშეკრულებას არ დადებდა არსებული შინაარსით, არამედ დადებდა შეცვლილი შინაარსით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებები ითვალისწინებს ნებართვის გაცემის ფასს, რომელსაც ნებართვის მფლობელები იხდიან ყოველთვიურად, კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში მხარეები აღნიშნულ ფასს არ გაითვალისწინებდნენ ან ამავე ვადის ნაწილში არ დადებდნენ ხელშეკრულებას. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მხარეებს შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მიხედვით და უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება. ხელშეკრულებების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება კი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებართვის გაცემის ფასის შემცირება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში გადასახდელი თანხის ოდენობით.
ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის შეჩერების ვადით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელები გათავისუფლდნენ ნებართვის გაცემის ფასის გადახდისაგან.

**ა ზ რ ი**
**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17
სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ,,ქალაქ ბათუმის მუნიცი- პალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალ-დებულების დადგენის შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ; მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დეტალური შეტყობინების დადგენის წესი დადგინდეს მეორე კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობებისათვის; ასევე მეორე კლასის ინდი-ვიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციისათვის, მეორე კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობების მშენებლობა/რეკონსტრუქცი-ისათვის და მეორე კლასს დაქვემდებარებული ღობის მშენებლობა/რეკონსტრუქციისათვის.
მოქმედი დადგენილებით დეტალური შეტყობინების წესი დადგენილია მეორე კლასის ყველა სახის მშენებლობისათვის, რაც მიზანშეუწონელია, ვინაიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი არის ტურისტული ქალაქი, ხშირია მომართვიანობა სასტუმროს მშენებლობაზე, სხვადასხვა სახის კომერციული ობიეტების მშენებლობა/რეკონსტრუქციაზე და ა. შ. ვინაიდან ასეთი სახის ფუნქციური დანიშნულების ობიექტები ორიენტირებულია მოგებაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი სახის ობიექტების მშენებლობისთვის დადგინდეს მშენებლობის აღების ვალდებულება, ვინაიდან მშენებლობის ნებართვის აღების დროს ნებართვის მაძიებელი ვალდებულია გადაიხადოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.
ზემოაღნიშნულის უფლებამოსილებას ადგენს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტუ-რული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანამხად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია რომ უნდა მოხდეს დიფერენცირება იმ სახის ფუნქციური ობიექტების (მეორე კლასის), რომლებზეც შესაძლებელია დადგინდეს დეტალური შეტყობინების აღების წესი და დაინტერესებულ პირს არ მოეთხოვოს მშენებლობის ნებართვის აღება.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17
სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილის) დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღებას.

2019 წლის 03 დეკემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტი მტკიცდებოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ბრძანებით.

ახალმა სამშენებლო კანონმდებლობამ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, მუნიციპალიტეტებმა უნდა მოახდინონ სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი ახალ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა. მოცემულ შემთხვევაში ახალი კანონმდებლობით დადგინდა ახალი ფუნქციური ზონები და ახალი კოეფიციენტები, შესაბამისად არსებული კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტი საჭიროებს განახლებას, რომელიც ხდება საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების გეგმაში/განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით ან ნებისმიერი პირის მიმართვის საფუძველზე.

**ა ზ რ ი**
**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17

სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 13. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გამომდინარეობს სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, საქართველოს ორგანულ კანონთან ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის რეგლამენტს ემატება 42[1] მუხლი, რომლის თანახმად ობიექტური გარემოებების არსებობისას, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული საკითხების გადასაწყვეტად საკრებულოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

**ა ზ რ ი**
**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17
სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის მდივანი მზევინარ წულუკიძე